# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

## სხდომის ოქმი N22

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 23.08.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

**სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი:** –ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ივანე კორძაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, თორნიკე ერისთავი.

**სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** გიორგი ივანიაძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, როზიზონ ფუტკარაძე, თენგიზ გვალიშვილი, გელა ღვიტიძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში- სალომე ფახურიძე.

**მოწვეული პირი:**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -**მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-**ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-ზვიად კაპანაძე;

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

## დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს:/ივანე მამფორია/

2. ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხს:/მამუკა ნამიჭეიშვილი/

3. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე.

მომხს:/ზვიად კაპანაძე/

*დაადგინეს:* დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

*მოისმინეს:*

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ცვლილება განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 17 აგვისტოს N1621 განკარგულებით განხორციელებული ცვლილებებით, რის შედეგადაც ვანის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის მოცულობა გაიზარდა 2324,1 ათასი ლარით. ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, ალფაიძეების უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისა და ზეინდრის ადმინსტრაციულ ერთეულში, სოფლების შუაგორა ზედაგორას (ცივწყაროს მიმართულებით) შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მიზნით. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხის მოცულობა განისაზღვრა 6292,4 ლარით. ამ ეტაპზე შეჩერდება ისრითის გზის რეაბილიტაციისა (211,00 ათასი ლარი) და მერიის ადმინისტრაციული შენობის დარბაზის რემონტის სამუშაოების დაფინანსება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 1

(თორნიკე ერისთავი)

*დაადგინეს:* დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დანართი: დადგენილება N120)

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება N27 51 განკარგულების პირველ მუხლში და დაემატა დიხაშხოს ადმინსტრაციულ ერთეულში ისრითის ცენტრიდან ჯვარისერის უბნის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ასევე ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. (სოფელ ინაშაურის მიმართულებით)

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 25

წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

*გადაწყვიტეს:* დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 60).

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიდ კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე".

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიქტთა ნუსხაში შეტანილი თორმეტი ობიექტი თავისი საწყისი ფასებით.

1. ქ. ვანში, გ. ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 30 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.01.25.197, 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი;

2.ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 8 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.01.30.232, 1000 (ათასი) ლარი;

3. ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვთი, საკადასტრო კოდით 31.01.30.233, 500 (ხუთასი) ლარი;

4. ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 30 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.01.30.231, 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი;

5. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 29 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 31.01.22.280, 1500 (ათას ლარი) ლარი;

6. სოფ. შუამთაში მდებარე 4 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.10.29.180, 300 (სამასი) ლარი;

7. სოფ. სალომინაოში მდებარე 30 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 31.10.22.481, 600 (ექვსასი) ლარი;

8. სოფ. სულორში მდებარე 378 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.18.25.066, 200 (ორასი) ლარი;

9. სოფ. უხუთში მდებარე 232 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 31.12.24.251, 1000 (ათასი) ლარი;

10. სოფ. დიხაშხოში მდებარე 1000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი,

საკადასტრო კოდით 31.07.27.145, 400 (ოთხასი) ლარი;

11. სოფ. მთისძირში მდებარე 1130 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.03.30.399, 650 (ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

12. სოფ. სალომინაოში მდებარე 96305 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 31.10.24.060, 12200 (თორმეტიათას ორასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტების მიმართ გამოითქვა შენიშვნები, კერძოდ:

დეპუტატი თორნიკე ერითავი: სალომინაოში მდებარე 96305 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც ახლა წარმოდგენილია საპრივატიზებოდ იყო კერძო საკუთრებაში, ჯერ კიდევ გასარკვევია რიგი საკითხები ამ მიწასთან დაკავშირებით. ამჟამად მოსახლეობა არ დათანხმდება ამ მიწის გაყიდვას, რადგან ახლა ეს ნაკვეთი წარმოადგენს სოფლის საძოვარს.

ამ მოსაზრებას იზიარებს დეპუტატი ამირან ტალახაძეც, რომელმაც დაამატა, რომ თუ მოსახლეობისგან მივიღებთ თანხმობას, მხოლოდ მერე შევძლებთ ამ მიწის პრივატიზებას.

დეპუტატმა გელა ჩიკვაიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ყოფილი ჩაის პლანტაციის მიწა შეუძლებელია ყოფილიყო კერძო საკუთრებაში, ვინაიდან მისი გასხვისება შეუძლებელია. ჩემი აზრით უმჯობესია ჯერჯერობით შევაჩეროთ ეს საკითხი, მოვიკვლიოთ აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით დოკუმენტები და გავარკვიოთ რეალურად არსებობდა თუ არა მიწა კონკრეტული პირის საკუთრებაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კი აღნიშნა, რომ აღნიშნულ საპრივატიზებო ობიექტზე ჩაის ან მოცვის პლანტაციის გაშენებაა დაგეგმილი, რაც სამომავლოდ ინვესტიციების მოზიდვას, კერძო ბიზნესის გაძლიერებას და რაც მთავარია დასაქმებას შეუწყობს ხელს, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ არსებულ ობიექტთან დაკავშირებით არსებობს კითხვები, საკითხის ეფექტურად გადაჭრის და ადგილობრივების ინტერესების დაცვის მიზნით, აუცილებელია შეიკრიბოს კომისია, რომელიც დამატებით შეისწავლის და გამოიკვლევს საკითხს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ახალი სახით :

წინააღმდეგი – 1 (თორნიკე ერისთავი)

*გადაწყვიტეს:* დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 61).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე